სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-02/195

ქ. თბილისი 3 ნოემბერი 2020წ.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საბაკალავრო ნაშრომების დისტანციურ რეჟიმში დაცვის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, "საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის №181 დადგენილების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის, „2020-2021 სასწავლო წელს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 04 სექტემბრის №778305 ბრძანების, სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის დეკანის, ოთარ გელაშვილის სამსახურებრივი ბარათის (№MES 4 20 0001036665, 26.10.2020 წ.), სწავლების დეპარტამენტის უფროსის, თამარ წერეთლის შუამდგომლობისა და აკადემიური საბჭოს 2020 წლის 03 ნოემბრის №01-05-02/31 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის (შემდგომში – ფაკულტეტი) ბაკალავრიატის სტუდენტებს, რომლებსაც დასრულებული აქვთ საბაკალავრო ნაშრომი და საპატიო მიზეზით ვერ ცხადდებიან ნაშრომის დაცვაზე, მიეცეთ უფლება დაიცვან საბაკალავრო ნაშრომი დისტანციურად, ონლაინ რეჟიმში, ელექტრონული პლატფორმების გამოყენებით;

2. სტუ-ის სხვა ფაკულტეტებმა, ამ დადგენილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ნაშრომის დაცვის ფორმატის შერჩევის შემთხვევაში, რექტორის სახელზე წინასწარ წარმოადგინონ წერილობითი ინფორმაცია;

3. ფაკულტეტის დეკან(ებ)მა უზრუნველყოს/უზრუნველყონ დაცვის პროცესის სრული აუდიოვიდეო ჩაწერა და ჩანაწერის ლაზერულ დისკზე (CD ან DVD) შენახვა, შესაბამისი ოქმის დანართის სახით;
4. საბაკალავრო ნაშრომ(ებ)ის დისტანციურ რეჟიმში დაცვის შემთხვევაში, პროცესში ჩართულმა ყველა მონაწილემ უზრუნველყოს საკუთარი ვიდეოგამოსახულების/ვიდეოთვალის გამოყენება მთელი პროცესის განმავლობაში;
5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**